ISSN 1512-1801

ბავშვის გონებრივი აღზრდის ხალხური ტრადიციები

ნანი მამულაძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
განათლების აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი

ანოტაცია
ბავშვის გონებრივი აღზრდის სწორად წარმართვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მისი აღზრდა, კი, შეიძლება ითქვას დაბადებიდანვე იწყება და პატარაობისას მიღებული შთაბეჭდილებები ადამიანს თან მიჰყვება.
გონებრივი აღზრდის ხალხური ტრადიციები ორი თვალსაზრისით განიხილება ფოლკლორისტების კვლევით შტუდიებში: 1. გონებრივი შრომა და მისი მნიშვნელობა; 2. ცოდნის არსი და გადაცემის საშუალებები .

გონებრივი აღზრდა საშუალებაა ცოდნის არსის გაგებისა და მოზარდისათვის მისი გადაცემის, გონებრივი შრომისა და მისი მნიშვნელობის გაგებისათვის. აქედან გამომდინარე, გონებრივი აღზრდის მიზანია მოზარდის მომზადება გონებრივი შრომისათვის.

გონებრივი შრომისათვის მოზარდის მომზადების მიზნის მისაღწევად აღზრდამ სამი მთავარი ამოცანა უნდა გადაწყვიტოს: 1. გონებრივი აღზრდის პირველ და არსებით ამოცანად გვესახება ცოდნისადმი პატივისცემის შეგნების აღზრდა მოზარდში; 2. მოზარდისათვის ბუნებით თანდაყოლილი ინტელექტუალური უნარების (აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, წარმოსახვა, აზროვნება, მეტყველება, მოქმედება, ნებისყოფა) განვითარება; 3. ფიქრის ჩვევების ჩამოყალიბება.

ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები მდიდარია ხალხური ტრადიციებით, რომლებშიც ხასგასმით იკითხება ხალხის ზრუნვა მოზარდი თაობის გონებრივი აღზრდის მიზნის მიღწევისა და ამოცანების გადაწყვეტისათვის.

საკვანძო სიტყვები: *ხალხური პედაგოგიკა; ხალხური ტრადიცია; გონებრივი აღზრდა; ფოლკლორი; ეთნოგრაფია.*

ბავშვის გონებრივი აღზრდის სწორად წარმართვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მისი აღზრდა, კი, შეიძლება ითქვას დაბადებიდანვე იწყება და პატარაობისას მიღებული შთაბეჭდილებები ადამიანს თან მიჰყვება.
გონებრივი აღზრდის ხალხური ტრადიციები ორი თვალსაზრისით განიხილება ფოლკლორისტების კვლევით შტუდიებში: 1. გონებრივი შრომა და მისი მნიშვნელობა; 2. ცოდნის არსი და გადაცემის საშუალებები (დიდაქტიკა) [7. გვ.17]

ჩვენ პრინციპულად განსხვავებული შეხედულება გვაქვს გონებრივი აღზრდის შინაარსის, მიზნის, ამოცანებისა და სტრუქტურის საკითხებზე. გონებრივი აღზრდა, ჩვენი თვალსაზრისით, საშუალებაა ცოდნის არსის გაგებისა და მოზარდისათვის მისი გადაცემის, გონებრივი შრომისა და მისი მნიშვნელობის გაგებისათვის. აქედან გამომდინარე, გონებრივი აღზრდის მიზანია მოზარდის მომზადება გონებრივი შრომისათვის.

გონებრივი შრომისათვის მოზარდის მომზადების მიზნის მისაღწევად აღზრდამ

ISSN 1512-1801

სამი მთავარი ამოცანა უნდა გადაწყვიტოს: 1. გონებრივი აღზრდის პირველ და არსებით ამოცანად გვესახება ცოდნისადმი პატივისცემის შეგნების აღზრდა მოზარდში; 2. მოზარდისათვის ბუნებით თანდაყოლილი ინტელექტუალური უნარების (აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, წარმოსახვა, აზროვნება, მეტყველება, მოქმედება, ნებისყოფა) განვითარება; 3) ფიქრის ჩვევების ჩამოყალიბება.

ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები მდიდარია ხალხური ტრადიციებით, რომლებშიც ხასგასმით იკითხება ხალხის ზრუნვა მოზარდი თაობის გონებრივი აღზრდის მიზნის მიღწევისა და ამოცანების გადაწყვეტისათვის.

1. ცოდნისადმი პატივისცემის შეგნება

ცოდნის პრესტიჟულობის შეგნება, ცოდნისადმი პატივისცემის გრძნობის განვითარება იმის აუცილებელი პირობაა, რომ მოზარდი ესწრაფოდეს რათა თავად გახდეს მცოდნე და ამისათვის შინაგანად იყოს განწყობილი. ცოდნისადმი პატივისცემის სულისკვეთებით არის გამსჭვალული აჭარაში ჩაწერილი ხალხური ლექსი ,,ჩემი შვილი”.

,,წინეთ ნასწავლს რომ იტყოდნენ, მე მეგონა ღმერთის ტოლი,
ახლა მეზობლებშიც კი მყავს დოქტორი და პროფესორი.
ჩემი შვილიც მოსკოვს სწავლობს, ბედნიერი, სხვათა სწორი“[1. გვ.75].

ცოდნისადმი პატივისცემის აღზრდას ისახავს მიზნად ხალხური ლექსები ,,სახლი გაუხარებია”, ,,მოწვევა სწავლაზე» და სხვა.

ლექსი ,,სახლი გაუხარებია” მოზარდს შთააგონებს ცოდნის, როგორც განსაკუთრებით ძვირფასი შენაძენის, მნიშვნელობას:

,,ყმაწვილსა კარგი სწავლითა სახლი გაუხარებია”.

ხოლო ,,მოწვევა სწავლაზე” სწავლას წარმოსახავს, როგორც საინტერესო, მიმზიდველ პროცესს. ხალხური მთქმელი სწავლებას აცლის წვალების უსიამო შეგრძნებას, რასაც ყოველთვის მტკივნეულად განიცდიან ბავშვები. მთქმელი ბავშვს იწვევს სწავლაზე, რო-გორც სასიამოვნო და სასარგებლო გართობაზე:

,,ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი, დაურჩი დედაშენსაო,
საქმე რომ არა გქონდეს რა, ჩამოირბენდე ჩვენსაო.
გადგიშლი წიგნსა პატარას, მეც მოგიცდები გვერდსაო.
გასწავლი წერა-კითხვასა, არაკებს გეტყვი ბევრსაო.
ვიმღერებ და შენც გამღერებ ლექსებს გასწავლი ბევრსაო” [6. გვ. 251].

ხალხური პედაგოგიკა უყურადღებოდ არ ტოვებს ცოდნისადმი, სწავლისადმი უპატივცემულობის გამოვლინებებს და მკაცრად გმობს სიზარმაცესა და უცოდინრობას. ცოდნისადმი უპატივცემულობის მხილებაა ხალხური ლექსი ,,კვირასაც ხომ ვითამაშებთ”, ხეპრე და ყეყეჩი ბიჭი კვირის არც ერთ დღეს არ იყენებს ცოდნის შეძენი-სათვის, ყოველდღე მხოლოდ თამაში უნდა.

ცოდნის დიდ მნიშვნელობაზე ამახვილებენ ყურადღებას მწიგნობრობაზე გამოცანების შემქმნელი ხალხური მთქმელები:

,,არცა ვარ პური, არც ღვინო, არც თმის საღები ინაო,
ვინც შემიძინა მე მეტი, წინ ვერვინ წაურბინაო» (ცოდნა) {6. გვ. 260}
,,ყანა თეთრი, თესლი შავი, ხელი დეიკავებს, ენა მოკრეფს” (წიგნი) [1. გვ.281].

ცოდნის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მოუთხრობს მოზარდებს ხალხური ზღაპრები.

ISSN 1512-1801

2. ინტელექტუალური უნარების განვითარება.

ინტელექტუალური უნარების განვითარება (აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, წარმოსახვა, აზროვნება, მეტყველება, მოქმედება, ნებისყოფა) ცოდნის შეძენისა და აღზრდის მიღების საფუძველია.

განვითარება, ეს არის წინააღმდეგობის დაძლევის პროცესი, რომლის შედეგად ადამიანისათვის თანდაყოლილი უნარები უფრო სრულყოფილი ხდება. ამასთან განვითარება მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო აქტიურია მოზარდი თავისი უნარების განვითარებაში. ხალხური პედაგოგიკა კარგად იცნობს განვითარებაში წინააღმდეგობების, სიძნელეების დაძლევისა და მოზარდის აქტიურობის აუცილებლობას.

აღქმა - თავისი ხუთი ბუნებრივი არხით (ხედვა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება) გვაკავშირებს სამყაროსთან და მისი მეშვეობით ჩვენში შემოდის ინფორმაცია სამყაროს შესახებ. რაც უფრო განვითარებული აქვს ადამიანს აღქმის უნარი, მით უფრო ზუსტი და მდიდარია მის მიერ შეძენილი ინფორმაცია.

ხედვით აღქმის უნარის განვითარება მრავალასპექტიანი პროცესია. ხედვის უნარით არა მხოლოდ ფერს, არამედ სივრცეში ორიენტაციის განსაზღვრის შესაძლებლობასაც უნდა დაეუფლოს ადამიანი. იგი არა მხოლოდ ხედავს, არამედ უყურებს. ამისათვის მისთვის თანდაყოლილმა ხედვის უნარმა შემეცნებითი ხასიათი უნდა მიიღოს.

ხედვის უნარის განვითარებისათვის მიმართავენ შეჯიბრს ცისარტყელას შვიდი ფერის გარჩევაში. იშვიათად შეხვდებით ადამიანს (მხატვარი არ გვყავს მხედველობაში) თანმიმდევრობით და შეუმცდარად დაასახელოს ცისარტყელაში გამოვლენილი შვიდი ბუნებრივი ფერი. ამისათვის პირველ რიგში, მოზარდებს ასწავლიან შვიდი ბუნებრივი ფერის დასახელებას. ესენია: 1. წითელი, 2. ნარინჯისფერი, 3. ყვითელი, 4. მწვანე, 5. ცისფერი, 6. ლურჯი, 7. იისფერი. შემდეგ იმართება შეჯიბრი ამ ფერების გარჩევასა და ჩამოთვლაში.

სმენის აღქმის უნარის განვითარებას ისახავს მიზნად აჭარაში ფართოდ გავრცელებული ხალხური თამაშობა ,,დამალობანა» (,,თვალხუჭობანა”), რომელიც აგებულია სისწრაფეზე, მოხერხებულობაზე და მოქნილობაზე, თამაშის ეს სახე გურიაშიც პოპულარული იყო და მას ,,კუკუმალულობას» ეძახდნენ. სამეგრელოში ის ,,დამალობანას” სახელითაა ცნობილი.

,,დამალობანას” თამაში ყველა ხალხის კუთვნილებაა. იგი მიზნად ისახავს ბავშვის მომზადებას ცხოვრებისათვის. როგორც ცნობილია, ადამიანის ორგანოთა შორის, შედარებით ყველაზე ფაქიზი მხედველობის ორგანო - თვალია. იგი შეიძლება ადვილად დაუზიანდეს ბავშვს. იმისათვის, რომ თვალის ჩინდაკარგულმა მომავალში ადვილად დასძლიოს სიბრმავით გამოწვეული სიძნელე, როგორც ხალხში ამბობენ, მან თვალით დასანახავი სმენით უნდა ,,დაინახოს”. ,,დამალობანას” თამაშში ბავშვი სმენით უნდა განსაზღვრავდეს დამალულის ადგილსამყოფელს. თვალდახუჭული მოთამაშე დამალულს ფეხის ნაბიჯების ხმის მიხედვით უნდა ეძებდეს. ამიტომ დამალობანას წესების მიხედვით აკრძალულია თვალის გადევნება დასამალავად წასულისათვის.

მხედველობის გავარჯიშებას ისახავს მიზნად აგრეთვე ხალხური თამაშობა ,,მშვილდისრობანა”. [3. გვ.50].

თამაშის ამ სახეს სამეგრელოში ,,მშვილდკოდალა” ეწოდება. სათამაშო იარაღის დამზადებაც და თამაშის წესიც იდენტურია აჭარული ტრადიციისა [3. გვ.50].

ISSN 1512-1801

მოზარდის გონების გაწვრთნა-გავარჯიშებას უკავშირდება აჭარაში გავრცელებული თამაში ,,დუზი". მას უმეტესად ზამთარში თამაშობენ. სათამაშო დაფას ოჯახში ამზადებენ. ეს არის მუყაოს ქაღალდზე შესრულებული ჭადრაკის მსგავსი დაფა დანაყოფებით. თამაში მოითხოვს საზრიანობას და მოხერხებულ ტაქტიკური სვლების შესრულებას. თამაშის დროს ყურადღება მახვილდება იმაზე, ვინ უფრო ადრე დაფარავს ოთხკუთხედებს ქვებით. დუზის თამაშის დროს მოპირდაპირე მხარეებს აქვთ სხვადა-სხვა ფერის 9-9 ლობიოს ან სიმინდის მარცვალი. თითოეული მარცვალი ეწყობა ნახაზის კვეთაში) [5 გვ. 109].

ინტელექტუალური უნარების განვითარება ხანგრძლივი პროცესია. იგი პიროვნების მთელი სიცოცხლის მანძილზე მიმდინარეობს. უმცროსი ასაკის მოზარდისათვის ინტელექტუალური უნარების განვითარების მდიდარ შესაძლებლობებს შეიცავს ხალხური ლექსები, ჯადოსნური ზღაპრები და ა. შ.

ლოგიკური აზროვნების განვითარება

ხალხური პედაგოგიკის მთავარ საზრუნავთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლოგიკური აზროვნების განვითარება. ამ მიზანს ხალხურ შემოქმედებაში ,,ცოცხალი ტყუილის" ჟანრის ნაწარმოებები ემსახურება. ,,ცოცხალი ტყუილის" ნიმუშები, - წერენ ქს. სხარულიძე და ფ. ზანდუკელი ,,ხალხური სიტყვიერება" - სათვის დართულ წინასიტყვაობაში, - ასოციაციის უნარის გამოვლინებისა და განვითარების საუკეთესო საშუალებაა... ცოცხალი ტყუილის შექმნა აზროვნების განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მოითხოვს.. თავისი ხასიათით, ხალისიანი განწყობილებითა და არაჩვეულებრივი შინაარსით ცოცხალი ტყუილის ნიმუშები ადვილად შეეგუა ბავშვის ცნობისმოყვარე ბუნებას და გზა გაიკაფა მის რეპერტუარში" [8. გვ.10].

ცოცხალი ტყუილის ნიმუშებში მოზარდმა გონიერი დაკვირვებითა და ყურადღებით უნდა ,,დაიჭიროს» ლოგიკური შეუსაბამობანი მოვლენებს შორის. ამგვარი გონებრივი ოპერაციების შედეგად ბავშვები სწავლობენ ბუნებაზე, ფაქტებზე, საგნებზე, მოვლენებზე დაკვირვებას და მათ შორის მსგვსება-განსხვავების დადგენის ელემენტარულ წესებს.

ცოცხალი ტყუილის კლასიკური ნიმუშია ლექსები: ,,შესაძლებელია", ,,იქით გორასა ძვრას ვუზამ", ,,თაგვები" და სხვა.

ლექსი ,,შესაძლებელია" აგებულია შეუსაბამობებზე, ლოგიკურ წინააღმდეგობებზე:

,,სანთლის გუთანს ავაშენებ, შიგ შევაბამ უღელ დევსა;
ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ, მშრალზე ვინადირებ თევზსა.
ყინულზე კალოს გავლეწავ, მორევში გადავყრი ქერსა,
ჭინჭველას გოდორს ავკიდებ და დევებს დავუყრი ბზესა" [8. გვ.10].

მოზარდმა უნდა შენიშნოს, რომ სანთლისაგან გუთანი არ დამზადდება, ზღვაში არ შეიძლება დახვნა-დათესვა, ხოლო ხმელეთზე თევზაობა.

ანალოგიური წესით არის შედგენილი ხალხური ლექსი ,,იქით გორასა ძვრას ვუზამ»:

,,აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას ვუზამ.
აზვირთებულსა დიდ მტკვარსა დავაყენებ და ყლაპს ვუზამ" [8. გვ.15]

მოზარდმა არ უნდა დაიჯეროს, რომ ადამიანს შეუძლია მთებისათვის ფეხის კვრა და მითუმეტეს საპირისპირო მხარის მთების შემვრა, ან კიდევ, ადამიანი ვერ შესვამს მდინარე მტკვარს.

ლექსი ,,თაგვები» აგებულია ჰიპერბოლის (გაზვიადების) ხერხებით, მაგრამ მოზარდებს უნდა ავუხსნათ, რომ ჰიპერბოლურ დაშვებასაც საზღვარი აქვს. შეუძლებლის დაჯერება

ISSN 1512-1801

არ არის გონიერი მკითხველის წესი.

,,წისქვილს საფქვავი წავიღე, ავკიდე სამსა კატასა.
წინ თაგვნი შემომეყარნენ, ჩამისხდნენ ალაგ-ალაგსა.
ერთსა ვკარ, ფეხი მოვტეხე, მეორე ადგა ალასა.
მესამე მემუქრებოდა: კიდევ დათესავ ყანასა
ისე მოგიჭამთ ერთიან ცელს ვერ ავლებდე ჩალასა” [8. გვ. 15].

საპირისპირო მხატვრული ხერხით არის შესრულებული ლექსი ,,წავალ კლდესა”. ჰიპერბოლური გაზვიადების ნაცვლად ამ ლექსში დამცირების ხერხია გამოყენებული. მოზარდმა უნდა შენიშნოს, რომ ამ უსუსური საგნებით არ შეიცლება დიდი შედეგის მქონე მოქმედებების ჩადენა.

,,წავალ კლდესა, თავს გარდვიგდებ ჭინჭველით ნათხარ გორაზედა;
წავალ, თავსა ჩამოვიხრჩობ ბოსტანში მდგარ ქონდარზედა”.

ნორჩი მკითხველისათვის დაუჯერებელი უნდა იყოს ჭიანჭველების ნათხარი გორა ისე მაღალი იყოს, რომ მისგან შეიძლებოდეს ადამიანის გადავარდნა, ან ბოსტნეულის ერთ-ერთ სახეობაზე - ქონდარზე თავის ჩამოხრჩობა.
უცვლელი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს მოზარდის ინტელექტუალური უნარების განვითარებისათვის გამოცანებს. გამოცანებით დაინტერესებას ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე ინარჩუნებს. სწორად შენიშნავენ პროფესორები ქსენია სიხარულიძე და ფიქრია ზანდუკელი: ,,გამოცანისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ყველა ასაკის ბავშვები ..... ხალხმა ადრე შეიგნო გამოცანის დიდი მნიშვნელობა მოზარდის ასოციაციის უნარის განვითარებაში” [ქვე გვ.11].
სამყაროზე დაკვირვების უნარ-ჩვევების განვითარებას ისახავს მიზნად გამოცანები მზე და მთვარეზე.

,,ერთ ქვეყანას ორთა ყმათა, ორთავ ერთი ფერი აქვთო,
ერთი მუდამ სიყრმეზე დგას, ერთს სიბერე ახლო აქვსო.
ერთს ჯარი ჰყავს უთვალავი, ერთს კი მარტო ტახტი აქვსო”.

უთვალავი ჯარი ვარსკვლავების სახით მთვარეს ახლავს თან, ხოლო განმარტოებით ერთ ტახტზე მხოლოდ მზე ზის.
მზისადმი ადამიანის იმედიან, ხალისიან დამოკიდებულებას შეიცავს გამოცანა:

,,ვდგები ადრე ადრიანად, პირსა ვიბან ნამითაო,
ოქროს თმასა გადავიშლი, ვიდგამ ოქროს გვირგვინსაო,
მაღლიდან რომ გადმოვხედავ, ყველა მიძღვნის ღიმილსაო”

მაღლიდან გადმომდგარი დილის სასიამოვნო სტუმარი ადამიანისათვის მზეა, რომელთან არის დაკავშირებული ნაყოფიერი შრომა, დოვლათი და ლამაზი დღე.
არაერთი გამოცანა შეუქმნია ხალხს ადამიანის, მისი ცალკეული ორგანოების გამოსაცნობად:

ISSN 1512-1801

აჭარაში გავრცელებულია ახალშობილი ბავშვის თემა:

,,ერთი სტუმარი მეწვია მიდღემჩი უსტუმრებელი,
იმას საჭმელი მივართვი სუფრაზე დუუდებელი” [1. გვ. 278].

უსტუმრებელი სტუმარი ახალშობილია, ხოლო სუფრაზე დაუდებელი საჭმელი - დედის რძე.
ადამიანის თვალები უნდა დაინახოს მოზარდმა აჭარაში გავრცელებულ ამ გამოცანებში:

,,კლდეზე სანთლები ანთია”;
,,ადგილზე დგას, მთელ ქვეყანას იარება”;
,,აი ჩემი თოფ-თოფელა ცის კიდემდე მიმწვდენელა” [1. გვ. 278];

ცის კიდემდე ადამიანის სხეულის ვერც ერთი ორგანო, გარდა თვალებისა, ვერ მიწვდება.
ადამიანის თავზე და მთლიანად სხეულზე ამოსული თმის ამოცნობა უნდა შეძლოს მოზარდმა უთესლოდ და უმიწოდ ამოსულ ნაყოფზე შედგენილ გამოცანაში:

,,უნახნაოდ და უთესლოდ, უმიწოდ არის მოსული”.

ბუნების მოვლენების გამოცნობას ავალებს მოზარდს გამოცანები ქარზე, წვიმაზე, ნამზე, ცეცხლზე, თოვლზე, მდინარეზე, ნისლზე, ღრუბელზე, ნამზე, წყალზე.

მეტყველების განვითარება ხალხური პედაგოგიკისათვის ცნობილი თემაა. მეტყველებაც, როგორც სხვა უნარები, თანდაყოლილია. გარკვეულ ასაკობრივ მიჯნაზე მიღწეული ბავშვი დაიწყებს მეტყველებას, მაგრამ მისი ხარისხი და ეფექტიანობა დამოკიდებული იქნება წარმოთქმის (ორთოეპია) სიზუსტე-სიცხადეზე, ლექსიკური მარაგის სიმდიდრეზე და ა. შ.

ხალხურ შემოქმედებაში, ამ მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ვარჯიშს ბგერების სწორად გაჟღერებაში, ძნელად წარმოსათქმელი სიტყვების სწორად და სწრაფად წარმოთქმაში. ყოველივე ეს ხალხურ შემოქმედებაში ცნობილია ,,ენის გასატეხის» სახით. ,,ხალხი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სწორ მეტყველებას, ფრაზის გამოკვეთილად წარმოთქმას, დიქციას. ამ ამოცანას ემსახურება მცირე მოცულობის, ალიტერაციასა და ასონანსზე აგებული ჩქარა წარმოსათქმელი ტექსტები. ენის გასატეხი დიდების შემოქმედებაა [ქს. სიხარულიძე, ფ. ზანდუკელი] პატარებისათვის გამიზნული.

,,რ” ბგერის სწორად წარმოთქმაში სავარჯიშოს კარგი ნიმუშია: ,,რიონი ნარიონალში, ნიორი ნანიორალში”.

ფონეტიკური ჯგუფის ,,რქაგრეხ» წარმოთქმის სიძნელის დაძლევისათვის ავარჯიშებს მოზარდს ეს ენის გასატეხი: ,,ჩემი თხაი რქაგრეხილი, შენსა თხასა რქაგრეხილსა, რას ერჩოდა, რას ებრძოდა, რას ერქაგრეხილებოდა”.

,,ჭ” ბგერაზე აგებული ალიტერაციების ლამაზად წარმოთქმაში ავარჯიშებს მოზარდს: ,,ჭიჭია ჭიჭინაძე ჭიშკართან ჭრიჭინას ჭრილობას ჭინჭარით უხვევდა”.

,,თ” ბგერაზე აგებული ალიტერაციაა ,,თეთრი თრითინა თეთრ თრთვილზე თრთოდა».

ISSN 1512-1801

,,ბ" ბგერაზე აგებული ალიტერაციაა: ,,ერთსა კაცსა ბლისკინელსა, ბლის კალათით ბლის ხიდზედა, ბალი გააქვს და გამოაქვს.

,,ფ" ბგერაზე ალიტერაციული სტრიქონების წარმოთქმით ავარჯიშებს მოზარდს ,,ფ" ბგერის სწორად წარმოთქმაში.

,,ფარეხ-ფარეხ, ფარა-ფარა ხუთი მგელი გაიარა,
აფრიალდა, აფარფატდა, ფრთას უფარდა ფრთა";
,,საყდარშია თეთრი მტრედი ფრთათეთრი და ფრთაფარფატა".

ძნელად წარმოსათქმელი სიტყვების კომპლექსებზეა აგებული ეს სავარჯიშოები:

,,ჩემი ბაღის მწვანილია: პრასა, ბოლოკი, პიტნა, ტარხუნა
თუკი მე მეპრას-მებოლოკ-მეპიტნა-მეტარხუნა,
რატომ შენ არ გეპრას-გებოლოკ-გეპიტნა-გეტარხუნება";
,,ლაგოდეხში ქეიფი გაიმართა, შენ რაგელაგოდეხებოდა" [ი. ბიბილეიშვილი].
,,ბერიკას ხარები შეუბამს,
შეუსაბელ-სახნის-სახვნელ-უღელ-ტაბიკ-აპეურებია,
როგორც შეუსაბელ-სახნის-სახვნელ-უღელ-ტაბიკ-აპეურებია,
ისე გამოუსაბელ-სახნის-სახვნელ-ტაბიკ-აპეურებია".

გრძელი სიტყვის სწორად წარმოთქმაში ავარჯიშებს მოზარდს ეს ხალხური ნიმუშები:

,,აგერ მოვა ერთი კაცი, შავჩოხშავპაიჭფარაჯინიანი, გავიქცევი, მივეწევი, მეც გავშავჩოხშავპაიჭფარაჯინიანდები".

ბავშვის გონებრივი აღზრდის ხალხური ტრადიციების თავისებურ განვითარებას პოულობს თანამედროვე პროფესიონალი პოეტების შემოქმედებაში. თანამედროვე პოეტებიც ქმნიან ,,ენის გასატეხებს", გამოცანებს, რომლებიც თავის ადგილს იკავებს სასკოლო სახელმძღვანელოებში. ამის საუკეთესო ნიმუშად გვესახება დოდო მახარაძისა და მანანა მაისურაძის მიერ შედგენილი ,,დამატებითი მასალა საანბნო პერიოდისათვის" [თბილისი 1997წ]. პირველი კლასის მოსწავლეებთან სამუშაოდ მასწავლებელთათვის განკუთვნილი ეს სახელმძღვანელო აგებულია ხალხური და თანამედროვე საბავშვო მწერალთა შემოქმედებიდან შერჩეულ ნიმუშებზე. ყოველი ასობგერის შესწავლას თან ახლავს ანდაზები, ენის გასატეხების, გამოცანების, რებუსების, დიდაქტიკურად დახვეწილი სავარჯიშოები.

გონებრივი აღზრდის შესახებ პეტრე უმიკაშვილი თავის ხელნაწერში [4. გვ.8-9] ამბობს: ,,არც ერთ სასწავლო მასალას არ შეუძლია ისეთი ზეგავლენა მოახდინოს ბავშვზე, როგორც სახალხო ნაწარმოებთაგან ამოკრეფილ მასალას" და ასაბუთებს კიდეც ამ აზრს: ,,შეხედეთ, ბავშვი ხალხური არაკისა და ლექსის წაკითხვისას ,,მთლად სიცოცხლედ გადაქცეულა", რადგან წაკითხული სოფელში გაგონილია და ,,ცოცხლად ესმის", ეკითხები და სხაპა-სხუპით ,,ცოცხლად პასუხს გაძლევთ"-ო. საფიქრებელია ხალხური ენის სისადავეც. უმიკაშვილის აზრით, ხალხის აზრის გაგება კარგი პირობაა. აქედან ირკვევა, რომ ხალხურ აზრს ის დიდ როლს ანიჭებს გონებრივ აღზრდაში.

გოგებაშვილმა ხალხურ მასალებს საპატიო ადგილი დაუთმო თავის

ISSN 1512-1801

სახელმძღვანელოებში. მაგრამ, იგი ბავშვის ცხოვრების პირველი წლებიდანაც მოითხოვს ხალხური ფოლკლორული ნაწარმოებების სასწავლო მიზნით გამოყენებას. ,,დედებმა სამი_ოთხი წლის ასაკიდან უნდა მიაწოდონ ბავშვებს მარტივი ხალხური ლექსები და ზღაპრები" [2. გვ. 239]. აქვე ერთგვარ პერსპექტიულ დარიგებასაც აწვდის ის მშობლებს - ხალხური ლექსებისა და ზღაპრების შეთვისება ,,ჩვილ შვილებს" - არ გაუჭირდებათ, თუ დედები გონივრულად უხელმძღვანელებენ მათო [იქვე].

პედაგოგიკას გონებრივ აღზრდაში უდიდეს დახმარებას უწევს ხალხური ანდაზები. ხალხური ანდაზების შესწავლით შესაძლებელი ხდება ბავშვებმა ერთმანეთს შეადარონ საგნები და მოვლენები და ამით მათი მსგავსება-განსხვავება დაადგინონ, რაც ხელს შეუწყობს კერძოს და ზოგადს შორის არსებული კავშირის გაგებას.

ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალები, მდიდარია ხალხური ტრადიციებით რომლებშიც ხასგასმით იკითხება ხალხის ზრუნვა მოზარდი თაობის გონებრივი აღზრდის მიზნის მიღწევისა და ამოცანების გადაწყვეტისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარის ზეპირსიტყვიერება, შენიშვნები დაურთო ნაზი ნოღაიდელმა, (1959): ბათუმი.
2. გოგებაშვილი ი. (1954): თხზულებანი, ტ. II. თბილისი.
3. კაპანაძე ნ. (1986): ,,ბავშვის აღზრდის ქართული ხალხური წეს-ჩვეულებები», ტრადიცია და თანამედროვეობა, N 16. თბილისი.
4. უმიკაშვილი პ. პირადი ფონდი, 48.
5. ფუტკარაძე თ. ვარშანიძე ნ. (2001): შუბანი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა, ბათუმი.
6. ქართული ხალხური სიტყვიერება, (1975): თბილისი.
7. ხინთიბიძე ან. (1976): აღზრდის იდეები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში, წიგნი III, , თბილისი.
8. ხალხური შემოქმედება, I. (1972): თბილისი.

Article received: 2011-12-26